



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030484423821314

№ 04-31/ო

10 / თებერვალი / 2014 წ.

“ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 25 ნოემბრის N04-463/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 ოქტომბრის N279 დადგენილებით დამტკიცებული „2013 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“ მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N397 დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2014 წლის 6 თებერვლის №01/9730 (№04/7528, 30.01.2014 წ.) წერილის გათვალისწინებით, „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის (“პირველადი ჯანდაცვის მომსახურება სოფლად” კომპონენტი) ფარგლებში ანგარიშგების ფორმის დაზუსტების მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „2013 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 25 ნოემბრის N04-463/ო ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული N15 დანართი შეიცვალოს ამ ბრძანებაზე თანდართული იგივე ნომრის მქონე დანართით (დანართი N15).
2. ამ ბრძანებით წარმოდგენილი N15 დანართით ანგარიშგება განხორციელდეს 2014 წლის იანვრის თვესა და შემდგომ პერიოდში გაწეული მომსახურებაზე.
3. ამ ბრძანების ამოქმედებამდე მოქმედი დანართი N15 გამოყენებულ იქნეს 2014 წლის იანვრამდე გაწეული მომსახურების ანგარიშგებისათვის.
4. სააგენტოს ადმინისტრაციამ (გ. გოგოლაძე), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართის განთავსება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge).
5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს დირექტორის მოადგილემ, კახა ხელაძემ.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ნოე ქინქლაძე

ნ. ჩხარ